წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 6

ქ. წალკა; 07.03.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიენი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;

დღის წესრიგი:

1. 2023 წლის 22 მარტს კამპანია „ღურჯი ნაკადულის ფარგლებში" წალკის მუნიციპალიტეტის ჩართულობით დასუფთავების აქციის განხორციელება წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

2. გენდერული თანასწორობისთვის გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მომზადებული თემატური მოკვლევის ანგარიში „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია 2023 წლის 22 მარტს კამპანია „ლურჯი ნაკადულის ფარგლებში" წალკის მუნიციპალიტეტის ჩართულობით დასუფთავების აქციის განხორციელება წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. რის შემდეგაც ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს რადიკ სარკისიანს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად უზრუნველყოს შესაბამისი ლოკაციის შერჩევა და დასუფთავების აქციის განხორციელება;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია გენდერული თანასწორობისთვის გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მომზადებული თემატური მოკვლევის ანგარიში „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას და წალკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებზე გაეცნონ გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მომზადებულ თემატური მოკვლევის ანგარიშს „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ და ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნეს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*